დამტკიცებულია	რეგისტრირებულია
სტუ-ს პროფესიული კავშირის დამფუძნებელთა კონფერენციის (საერთო კრების) მიერ	ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ
2007 წლის 9 თებერვალი	2007 წლის "---" _____ რეგისტრაციის №_____

რეგისტრირებული კავშირი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესიული კავშირი

წესდება

თბილისი
2007

წ ე ს დ ე ბ ა

1. ზოგადი დებულებები

1. ორგანიზაცია წარმოადგენს რეგისტრირებული კავშირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დაარსებულია წინამდებარე წესდების მე-4 თავში ჩამოთვლილი დამფუძნებლების მიერ, ამავე წეს-დების მე-5 თავით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

2. ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სამართლებრივი აქტების, საქართველოს კანონის პროფესიული კავშირების შესახებ და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

II. ორგანიზაციის სახელწოდება

1. ორგანიზაციის სახელწოდებაა: რეგისტრირებული კავშირი "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული კავშირი" (შემდეგში "სტუ-ს პროფკავშირი")

III. სტუ-ს პროფკავშირის ადგილსამყოფელი

1. სტუ-ს პროფკავშირის ადგილსამყოფელია: საქართველო, ქ. თბილისი მ. კოსტავას ქ. №77

IV. დამფუძნებელი წევრები

1. სტუ-ს პროფკავშირის დამფუძნებელი წევრები არიან:

№	გვარი სახელი	დაბადების თარიღი და ადგილი	პირადობის დამდგენი დოკუნენტის დამდგენი რეკვიზიტები	პრიადობის დამდგენი დოკუმენტის გამცემი ორგანო და თარიღი	საცხოვრებელი ადგილი	პროფესია
1.	თვალავაძე ივანე	06.01.1941 წ. ქ.ქობულეთი	№01009006652 №ბ 0288370	ვაკე-საბურთალოს რ-ის შს II განყ-ბა 08.01.01	ქავთარაძის 25 კორპ. 4 ბ. 60	ინჟინერ მეტალურგი
2	ვეფხვაძე ცავრინა	19.03.1950 ხარაგაული	№01007005042 №ბ 0103839	დიდუბის რაიონის შს. II განყ-ბა 11.01.1996	აკ.წერეთლის გამზ. №55	ისტორიკოსი
3	პაპავა გიორგი	24.01.1948 წულუკიძე	№55001000149 № ბ.0251418	დიდუბის რ-ნის შს სამმართველო 19.04.00	წინამძღვრი-შვილის 180	ინჟინერ-მეტალურგი
4	ჯიქია ნიაზი	25.04.1962 გეგეჩკორი	№01006004236 № 0099107	დიდუბის რ-ნის შს ქვე-გაყოფი-ლება 13.01.96	დიღმის მასივი III კვ. კორპ.1 ბ.9	ინჟინერ-გეოლოგი
5	გორდელიძე ვლადიმერი	29.04.1950 თბილისი	№01030006870 №დ 0121698	ჩუღურეთის შს განყ-ბა 15.05.96	ფოცხვერაშვი-ლის 20	ინჟინერ ქიმიკოსი

V. საქმიანობის მიზნები

1. სტუ-ს პროფკავშირის საქმიანობის მიზნები და ამოცანები:
ა) სტუ-ს პროფკავშირის წევრთა პროფესიული, შრომითი, სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი უფლებების, თავისუფლებების, გარანტიების და ინტერესების დაცვა;
ბ) სისტემატიური და თანმიმდევრული ზრინვა სტუ-ს პროფკავშირის წევრთა ცხოვრების დონის ამაღლების, შრომის სამართლიანი ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;
გ) სტუ-ს პროფკავშირის წევრთა ინტერესების დაცვა დაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში "სტუ") რექტორატსა და არჩევით ორგანოებში, სა-ხელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში.
დ) სტუ-ში კანონმდებლობით დადგენილი სოციალური პარტნიორობის სისტემის ამოქმედება, კოლექტიური მოლაპარაკების წარმოება, კოლექტიური ხელშეკრულე-ბის და შეთანხმების გაფორმება.
ე) საზოგადოებრივი კონტროლის გაწევა სტუ-ს პროფკავშირის წევრთა მიმართ შრომის კანონმდებლობით, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სფეროში კანონმდებლობით დადგენილი გარანტიების, შრომითი ხელშეკრულებებით (კონტრაქტებით), კოლექტიური შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე.
ვ) სტუ-ს პროფკავშირის ორგანიზაციული და ფინანსური განმტკიცება.
ზ) საქართველოში მოქმედ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან კონსოლიდაცია და საქმიანობის კორდინაცია, პროფკავშირული სოლიდარობის განმტკიცება.
თ) საერთაშორისო პროფკავშირულ ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობების გაფართოება.

VI. სტუ-ს პროფკავშირის უფლებამოსილება

1. საქმიანობის მიზნების მისაღწევად სტუ-ს პროფკავშირი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით და არ ეწინააღმდეგება პროფკავშირის საქმიანობის მიზნებს.

VII წევრობა

1. სტუ-ს პროფკავშირის წევრობა ნებაყოფლობითია.
2. სტუ-ს პროფკავშირის წევრი შეიძლება იყოს სტუ-ის, სტუ-თან არსებული ორგანიზაციების და პროფკავშირის შტატიანი თანამშრომელი, რომელიც აღიარებს ამ წესდებას და იხდის ყოველთვიურ საწევრო შეტანას. სტუ-ს პროფკავშირის წევრი არ შეიძლება იყოს სხვა პროფკავშირის წევრი.
3. პროფკავშირის წევრობის უფლება უნარჩუნდებათ:
   - ჯანმრთელობის ან ასაკის გამო მუშაობის შეწყვეტისას;
   - უმუშევრებს საბოლოო შრომით მოწყობამდე;
4. პროფკავშირის წევრებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები და ვალდებულებები.

VIII წევრად მიღება

1. სტუ-ს პროფკავშირის წევრად მიღება ხდება წევრობის მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

2. სტუ-ს პროფკავშირის წევრობის მსურველმა პროფკავშირში მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოს სტუ-ს პროფკავშირის პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას ან მის სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

3. განცხადებაში წევრობის მსურველმა უნდა გამოხატოს სტუ-ს პროფკავშირის წევრად გახდომის სურვილი.

4. სტუ-ს პროფკავშირის წევრობის მსურველის წევრად მიღებაზე გადაწყვეტილებას ღებულობს სტუ-ს პროფკავშირის პირველად პროფკავშირულ ორგანიზაცია ან მის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფი განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში.

5. სტუ-ს პროფკავშირის წევრობის მსურველი წევრად მიღების შემდეგ სარგებლობს წესდებით წევრისათვის დადგენილი ყველა უფლებებით.

IX სტუ-ს პროფკავშირის წევრის უფლებები და ვალდებულებები

1. სტუ-ს პროფკავშირის წევრის უფლება აქვს:

ა) მიმართოს სტუ-ს პროფკავშირის ნებისმიერ ორგანოს შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, პროფესიული, სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად და მოითხოვოს მათგან არსებითი პასუხი;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვაში კრებებზე,კონფერენციებზე, კოლეგიური ორგანოების სხდომაზე, გამოთქვას თავისი აზრი, შეიტანოს წინადადებები, გამოვიდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, გააკრიტიკოს სტუ-ს პროფკავშირის ნებისმიერი ორგანო და თანამდებობის პირი.

გ) აირჩიოს, წარადგინოს თავისი კანდიდატურა და არჩეული იქნას სტუ-ს პროფკავშირის ნებისმიერ ორგანოში;

დ) მიიროს უფასო ან შეღავათიანი იურიდიული და სხვა სახის დახმარება სტუ-ს პროფკავშირისგან მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე: დამსაქმებელთან ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავის დროს, სარჩელის შეტანა და დაცვა .სასამართლოში, შრომის დავის სხვა ორგანოებში.

ე) მიიღოს სტუ-ს პროფკავშირის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით გათვალისწინებული დამატებითი შეღავათები და კომპენსაციები;

ვ) ისარგებლოს სტუ-ს პროფკავშირის სახსრებით, ქონებით, ბაზებით, იყოს ურთიერთ დამხმარე სალაროსა და პროფკავშირის მიერ შექმნილი ფონდების წევრი;

ზ) გავიდეს სტუ-ს პროფკავშირიდან პრიადი განცხადებით;

თ) დაიცვას და შეასრულოს ამ წესდების მოთხოვნები;

ი) შეასრულოს სტუ-ს პროფკავშირის ყველა დონის არჩევითი ორგანოების გადაწყვეტილებები და დავალებები, დაიცვას კოლექტიური ხელშეკრულების, შეთანხმების პირობები, გადაიხადოს საწევრო შესატანი

კ) მონაწილეობა მიიღოს სტუ-ს პროფკავშირის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში, აქციებში, მიტინგებში, მანიფესტაციებში და გაფიცვებში;

ლ) არ განახორციელოს ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის სტუ-ს პროფკავშირის საქმიანობას და სახელს უტეხს მის ღირსებას.

X. წევრობის შეწყვეტა

1. სტუ-ს პროფკავშირის წევრს შეიძლება შეუწყდეს სტუ-ს პროფკავშირიდან გარიცხვის შემთხვევაში ან წევრის პირადი განცხადების საფუძველზე.

2. წევრის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) სტუ-ს პროფკავშირისთვის ზიანის მიყენება;

ბ) სტუ-ს პროფკავშირის წესდების დარღვევა;

გ) სტუ-ს პროფკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა.

დ) პროფკავშირული საწევრო შენატანის სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გადაუხდელობა

3. სტუ-ს პროფკავშირიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს სტუ-ს პროფკავშირის პირველად ორგანიზაციის ან მის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ორგანო.
4. სტუ-ს პროფკავშირიდან გარიცხულ წევრს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში ან ზემდგომ პროფკავშირულ ორგანოში.
5. გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ ძალაში შედის სტუ-ს პროფკავშირის პრიველად ორგანიზაციის ან მიხ სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელ-მძღვანელი ორგანოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ
6. სტუ-ს პროფკავშირიდან გარიცხული ან საკუთარი სურვილით გასული წევ-რის პროფკავშირში ხელახლად მისაღებად მსურველმა უნდა გაიაროს წევრად მიღებისათვის საჭირო ყველა პროცედურა.

XI. სტუ-ს პროფკავშირის ორგანიზაციული სტრუქტურა

1. სტუ-ს პროფკავშირის ორგანიზაციული სტრუქტურაა:
   - პროფკავშირის კონფერენცია
   - სტუ-ს პროფკავშირის კომიტეტი/ გამგეობა (შემდგომში "პროფკომიტეტი")
   - პროფკომიტეტის პრეზიდიუმი (შემდგომში "პრეზიდიუმი")
   - სტუ-ს სტრუქტურული ქვედანაყოფის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრება (შემდეგში "პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრება")
   - სტუ-ს სტრუქტურული ქვედანაყოფის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიურო (შემდგომში "პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიურო")
   - სტუ-ს სტრუქტურული ქვედანაყოფის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია

1. სტუ-ს პროფკავშირის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია სტუ-ს სტრუქ-ტურული ქვედანაყოფების პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები.

3. პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც აღრიცხვაზე იმყოფება პროფკავშირის 15 წევრზე ნაკლები, აირჩევა პროფკავშირული ორგანიზაციის თავ-მჯდომარე (პროფორგანიზატორი) და მისი მოადგილე, ხოლო იქ, სადაც 15 წევრზე მეტია აირჩევა პროფკავშირული ორგანიზაციის ბიურო.

XII. სტუ-ს პროფკავშირის ხელმძღვანელობა

1. სტუ-ს პროფკავშირის ხელმძღვანელობა ხორციელდება თვითმმართველობის საწყისებზე.

2. სტუ-ს პროფკავშირის ხელმძღვანელი ორგანოები და პირები:
   - სტუ-ს პროფკავშირის კონფერენცია
   - პროფკომიტეტი
   - პროფკომიტეტის პრეზიდიუმი
   - სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარიე (შემდეგში თავმჯდომარე).
   - პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრება
   - პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიურო

- სტუ-ს სტრუქტურული ქვედანაყოფის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე (შემდგომში "პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე")
- სტუ-ს სტრუქტურული ქვედანაყოფის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის პროფორგანიზატორი (შემდგომში "პირველადი პროფ-კავშირული ორგანიზაციის პროფორგანიზატორი")

3. სტუ-ს პროფკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების და პირების არჩევა ხდება:
- სტუ-ს პროფკავშირის ყველა ხელმძღვანელი ორგანო და პირი აირჩევა 4 წლის ვადით

XIII. სტუ-ს პროფკავშირის კონფერენცია

1.სტუ-ს პროფკავშირის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა პროფკავშირის წევრთა კონფერენცია.

2. სტუ-ს პროფკავშირის კონფერენციის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვ-ნება:

- სტუ-ს პროფკავშირის წესდების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;
- პროფკომიტეტის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა;
- პროფკომიტეტის წევრების არჩევა ან პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრების მიერ წარდგენილი გამგეობის წევრების დელე-გირების წესით ამტკიცება;
- სტუ-ს პროფკავშირის სარევიზიო კომისიის დებულების დამტკიცება;
- სტუ-ს პროფკავშირის სარევიზიო კომისიის წევრთა რაოდენობის გან-საზღვრა და წევრების არჩევა;
- სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარის არჩევა;
- სტუ-ს პროფკავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის არჩევა;
- სტუ-ს პროფკავშირის საქმიანობის პროგრამის განსაზღვრა;
- პროფკომიტეტის სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება;
- პროფკომიტეტის და სტუ-ს პროფკავშირის თანამდებობის პირების გადა-წყვეტილებების გაუქმება თუ იგი ეწინააღმდეგება პროფკავშირის საქ-მიანობის მიზნებს ან ჩრდილს აყენებს კავშირის სახელს;
- საწევრო და სხვა შენატანების ოდენობისა და გადახდის წესის დადგე-ნა;
- სტუ-ს პროფკავშირის სიმბოლების დამტკიცება;
- სტუ-ს პროფკავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3. სტუ-ს პროფკავშირის კონფერენციის მოწვევა ხდება პროფკომიტეტის მიერ საჭიროების მიხედვით 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც. რიგგარეშე კონფერენცია შეიძლება მოწვეული იქნეს პროფკომიტეტის მიერ, ან სტუ-ს პროფკავშირის წევრთა საერთო რაოდენობის 30%-ის მიხედვით.

4. სტუ-ს პროფკავშირის კონფერენციის დელეგატებს პირდაპირი დელეგირების გზით ირჩევენ პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების კრებები შემდეგი კვოტის მიხედვით:

სტუ-ს პროფკავშირის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციე-ბის წევრთა რიცხოვნობა	სტუ-ს პროფკავშირის კონფერენციის დელეგატთა რიცხოვნობა
60-მდე	1
61- დან – 150- მდე	5
151-დან – 300-მდე	10
300-ზე მეტი	15

4. სტუ-ს პროფკავშირის რიგითი (რიგგარეშე) კონფერენციის მოწვევის, ჩატარების თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ დადგენილებას იღებს პროფკომიტეტი კონფერენციამდე არაუგვიანეს ორი თვისა.
5. სტუ-ს პროფკავშირის რიგითი (რიგგარეშე) კონფერენციის მოწვევის, ჩატარების თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოს კონფერენციის ყველა დელეგატს კონფერენციამდე ერთი თვით ადრე.
6. სტუ-ს პროფკავშირის კოფერენცია უფლებამოსილია თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი.
7. სტუ-ს პროფკავშირის კონფერენციის დადგენილება მიიღება კონფერენციაზე დამსწრე დელეგატთა ხმების უმრავლესობით, ხოლო დადგენილება წესდების შეცვლის თაობაზე – ორი მესამედის უმრავლესობით.
8. კონფერენციის ჩატარების ადგილი და დრო უნდა შეირჩეს ისე, რომ მასზე დასწრება შესძლოს კონფერენციის ყველა დელეგატმა.
9. კონფერენციის დაგეგმილ დროს ჩაუტარებლობის შემთხვევაში პროფკომიტეტი იწვევს რიგგარეშე კონფერენციას, რომელიც უნდა გაიმართოს კონფერენციის გადატანის შესახებ ინფორმაციის გაკეთებიდან 20 დღის განმავლობაში.
10. რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა კონფერენციის ჩატარების შესახებ შეტყობინების გაკეთებიდან 30 დღის განმავლობაში.
11. სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, პროფკომიტეტის წევრები და სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილეები არიან მორიგი ყრილობის დელეგატები.

XIV. პროფკომიტეტი

1. პროფკომიტეტი:
   - წარმართავს სტუ-ს პროფკავშირის საქმიანობას კონფერენციებს შორის;
   - იცავს სტუ-ს პროფკავშირის წევრთა პროფესიულ, შრომით, სოციალურ-
   - ეკონომიკურ და სამართლებრივ უფლებებს;
   - ახორციელებს პროფკავშირის წევრთა აღრიცხვას, ამტკიცებს პროფკავშირული ორგანიზაციის სტრუქტურას და სტრუქტურული ქვედანაყოფების არჩევნების ჩატარების ვადებს და წესებს;
   - ამტკიცებს სტუ-ს პროფკავშირის ბიუჯეტს და ახორციელებს კონტროლს მის შესრულებაზე;
   - სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარის წარდგენით ამტკიცებს პროფკომიტეტის აპარატის სტრუქტურას, თანამშრომლების რაოდენობას და მათი ანაზღაურების ოდენობას, საგამომცემლო და კომერციული რგოლების ხელმძღვანელებს;
   - თავისი რიგებიდან ირჩევს პროფკომიტეტის პრეზიდიუმს;
   - სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეებს;
   - განსაზღვრავს თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობას და მათ ფუნქციებს;

- განსაზღვრავს პროფკავშირის წევრთათვის დახმარების გაწევის წესს და დახმარების ოდენობას;
- ამტკიცებს პირდაპირი დალეგირების წესით წარმოდგენილი პროფკომიტეტის წევრთა ოდენობას;
- იწვევს მიმდინარე და რიგგარეშე კონფერენციებს.

2. პროფკომიტეტის საქმიანობის ორგანიზება ხორციელდება სხდომების სახით. როფკომიტეტის სხდომები მოიწვევა წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ ერთხელ ორ თვეში.

3. პროფკომიტეტის სხდომებს უძღვება სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის რომელიმე მოადგილე.

4. პროფკომიტეტის წევრები დელეგირების წესით არიან სტუ-ს სტრუქტურული ქვედანაყოფის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის პროფკომიტეტის თავმჯდომარეები, სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარე, სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილეები და კონფერენციაზე არჩეული სხვა პირები.

5. პროფკომიტეტის წევრის დაკავრბული თანამდებობიდან განთავისუფლების ან სხვა სამუშაოზე გადასვლისას მის ადგილს პროფკომიტეტში ავტომატურად იკავებს იმავე თანამდებობაზე არჩეული ან დელეგირებული პირი;

6. პროფკომიტეტის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 (ოცდახუთი)-ს

7. პროფკომიტეტის რიგითი (რიგგარეშე) სხდომის მოწვევის გადაწყვეტილებას იღებს სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარე, პროფკომიტეტის პრეზიდიუმი ან პროფკომიტეტის წევრთა 30 (ოცდაათი) %-ი.

8.პროფკომიტეტის რიგითი (რიგგარეშე) სხდომის მოწვევის, ჩატარების თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოს პროფკომიტეტის ყველა წევრს სხდომამდე ერთი კვირით ადრე.

9. პროფკომიტეტის რიგითი (რიგგარეში) სხდომის ჩატარების ადგილი და დრო უნდა შეირჩეს ისე, რომ მასზე დასწრება შესძლოს პროფკომიტეტის ყველა წევრმა.

10.. პროფკომიტეტის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება პროფკომიტეტის წევრთა ორი მესამედი.

11. პროფკომიტეტის სხდომის დადგენილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

XV. პროფკომიტეტის (გამგეობის) წევრები

1. პროფკომიტეტის (გამგეობის) წევრები არიან:

№	გვარი,სახელი	დაბადების თარიღი და ადგილი	პირადობის დამდგენი დოკუმენტის დამდგენი რეკვიზიტები	პირადობის დამდგენი დოკუმენტის გამცემი ორგანო და თარიღი	საცხოვრებელი ადგილი	პროფესია
1	გიორგაძე ნათელა	13.09.1946 წ. ქ.თბილისი	№01010009494 №გ 0209605	ვაკის რ-ნის შს III ქვეგანყოფილება 17.08.98	ნუცუბიძის მე-4 მ/რ. კორპ.14ბ.46	ფილოლოგი
2	ქოიავა-ხურცილავა ნელი	10.01.1946 წ. ქ. სამტრედია	№01022006174 №გ 0216685	ნაძალადევის რ-ნის შსს III ქვეგანყობილება 06.09.99	ჩარგალის 25	ბიბლიოთეკარი
3	თვალავაძე ივანე	06.011941 წ. ქ.ქობულეთი	№01009006652 №ბ 0288370	ვაკე-საბურთალოს რ-ნის შს II განყ-ბა 08.01.01.	ქავთარაძის 25 კორპ.4 ბ.60	ინჟინერ მეტალურგი

4	ვეფხვაძე ცავრინა	19.03.1950.წ. ხარაგაული	№01007005042 №ბ 0103839	დიდუბის რ-ნის შს II ქვეგან-ბა 11.07.1996	წერეთლის გამზირი №55	ისტორიკო-სი
5	ჯიქია ნიანი	25.04.1962 წ. გეგეჭკორი	№01006004236 № 0099107	დიდუბის რ-ნის შს I ქვე განყ-ბა 13.01.96	დილმის მასივი III კვ. კორ.1ბ ბ.9	ინჟინერ-გეოლოგი
6	თაქთაქიშვილი დავითი	17.03.1942წ თბილისი	№01030009524 №ბ 0121588	ჩუღურეთის შს გაყ-ბა 18.04.96	მარჯანიშვი-ლის 54	ფილოსო-ფოსი
7	გორგიძე დავითი	29.11.1944 წ. თბილისი	№01024026127 №დ 0235036	საბურთალოს რ-ნის შს სამმართველო 07.12.98	კლდიაშვი ლის 15	მექანიკოსი
8	სეხნიაშვილი ილია	16.08.1970წ დედოფლის-წყარო	№01024016549 №ა 0288080	ვაკის რ-ნის შს სამმართ-ველოს I გან-ბა 16.05.00	ვ/ფშაველას III კვ. კორ.9 ბ.59	ინჟინერ-ელექტრიკ-ოსი
9	გიორხელიძე თენგიზი	03.03.1940 თბილისი	№01024043819 №ბ 0443871	ვაკე-საბურ-თალოს შსს I განყ-ბა 17.01.04	შარტავას 36	ინჟინერი
10	კაკეტაშვილი იოსები	01.01.1948 საგარეჯო	№01010011898 №დ 0782723	ვაკის სა-პარსპორტო მრ.არა სარ. სამსახური 19.10.2001	ნუცუბიძის მე-4 მ/რ. კორპ მე-2 ბ.27	ინჟინერ-მშენებელი
11	გელაშვილი ნუნუ	21.02.1961 ხაშური	№01002011330 №ბ 0435061	გლდანი-ნაძალადევის შს IX განყ. 16.07.03.	ზესტაფონის 4/14 კ.1 ბ.21	ინჟინერ პროგრა-მისტი
12	პაპავა გიორგი	24.01.1948 წულუკიძე	№55001000149 №ბ 0251418	დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართ-ველო 19.04.06	წინამძღვრიშვი-ლის 180	ინჟინერ-მეტალურ-გი
13	გვერდწთელი ლეილა	11.02.1948 ბორჯომი	II-ТИ №512595	კალინინის რ-ნის შს სამმართველო 30.06.76	დ/დიღომი I მ/რ კორ.26 ბ.22	ქიმიკოსი
14	მაისურაძე ბადრი	13.04.1948 მცხეთა	№31001006062 №დ 0179090	მცხეთის შს სამმართველო 20.09.97	ზაჰესი თავი-სუფლების 25	ინჟინერ-მექანიკო-სი
15	ჭკუასელი ნანული	13.04.1948 გარდაბანი	№12001050198 №ა 0629506	გარდაბნის რეგის.სამსახ-ური 10.12.2004	გარდაბანი,ვარკე-თილის დასახლე-ბა სამგორის 5 ბინა 3	ინჟინერ-მეტალურ-გი
16	ნამგალაძე გია	01.05.1942 ამბროლაური	№01008022279 №ბ 0287616	ვაკე-საბურ-თალოს შს. განყოფილება 09.02.2001	ჭავჭავაძის 55	ინჟინერი

XVI. პროფკომიტეტის პრეზიდიუმი

1. პროფკომიტეტის პრეზიდიუმი:

- წარმართავს სტუ-ს პროფკავშირის საქმიანობას კონფერენციებს და პროფკომიტეტის სხდომებს შორის;
- იწვევს პროფკომიტეტის სხდომებს, იღებს გადაწყვეტილებებს პროფკომიტეტის დადგენილებების შესასრულებლად;
- იცავს პროფკავშირის წევრთა პროფესიულ, შრომითი, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ უფლებებს;
- იღებს მიმართვებს, აყენებს მოთხოვნებს სახელმწოფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, დამსაქმებელის წინაშე პროფკავშირის წევრთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
- წარმოადგენს პროფკავშირის წევრთა ინტერესებს სტუ-ს რექტორატსა და არჩევით ორგანოებში, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში;
- აწარმოებს შრომითი კანონმდებლობის დაცვის, კოლექტიური ხელშეკრულების და შეთანხმების კონტროლს;
- ქმნის პრობლემურ, დროებით სამუშაო ჯგუფს, დროებით კომისიებს და განსზღვრავს მათ სამუშაო პრინციპებს;
- ამტკიცებს გადაწყვეტილებების პროექტებს პროფკომიტეტის სხდომებისათვის;
- ასრულებს ამ წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს და პროფკომიტეტის კომპეტენციით მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

2. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის საქმიანობის ორგანიზება ხორციელდება სხდომების სახით. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის სხდომები მოიწვევა წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ ერთხელ თვეში.

3. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებს უძღვება სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარე.

4. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის წევრები არიან სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარე, სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილეები დელეგირების წესით და პროფკომიტეტის მიერ არჩეული პროფკომიტეტის სხვა წევრები.

5. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის წევრის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების ან სხვა სამუშაოზე გადასვლისას მის ადგილს პროფკომიტეტის პრეზიდიუმში ავტომატურად იკავებს იმავე თანამდებობაზე არჩეული ან დელეგირებული პირი.

6. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 7 (შვიდი)-ს.

7. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის რიგითი (რიგგარეშე) სხდომის მოწვევის გადაწყვეტილებას იღებს სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარე ან პროფკომიტეტის წევ-რთა 30 (ოცდაათი) %-ი.

8. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის რიგითი (რიგგარეშე) სხდომის მოწვევის, ჩატარების თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოს პროფკომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრს სხდომამდე ერთი კვირით ადრე.

9. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ჩატარების ადგილი და დრო უნდა შეირჩეს ისე, რომ მასზე დასწრება შესძლოს პროფკომიტეტის პრზიდიუმის ყველა წევრმა
10. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება პროფკომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა ორი მესამედი.
11. პროფკომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის დადგენილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

XVII. სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარე

1. სტუ-ს პროფკავშირის უმაღლესი თანამდებობაა სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარე.
2. თავმჯდომარე:
   - ერთპიროვნულად წარმოადგენს სტუ-ს პროფკავშირის მესამე პირებთან ურთიერთობაში;
   - იწვევს და თავმჯდომარეობს პროფკომიტეტის და პროფკომიტეტის პრეზიდიუმის სხდომებს;
   - სტუ-ს პროფკავშირის სახელით ხელს აწერს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და ნებისმიერ სხვა დოკუმენტს;
   - ხელმძღვანელობს პროფკომიტეტის აპარატს, დებს და აუქმებს შრომით ხელშეკრულებებს აპარატის დაქირავებულ მუშაკებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
   - წარუდგენს თავმჯდომარის მოადგილეების კანდიდატურებს პროფკომიტეტს დასამტკიცებლად;
   - განკარგავს სტუ-ს პროფკავშირების ქონებას და ფულად სახსრებს პროფკომიტეტის ან პროფკომიტეტის პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში;
   - ასრულებს წინამდებარე წესდებით, კონფერენციის და პროფკომიტეტის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს;
   - თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.
3. კონფერენციამ ან პროფკომიტეტმა თავმჯდომარეს შეიძლება მიანიჭონ დამატებითი უფლებები.
4. ერთიდაიგივე პირი სტუ-ს პროფკავშირის თავმჯდომარედ ზედიზედ შეიძლება არჩეული იქნეს, მხოლოდ ორჯერ.

XVIII. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრება

1. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება;
   - პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის პროფკომიტეტი წევრთა რაოდენობის განსაზღვრა;
   - პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის პროფკომიტეტი წევრთა არჩევა;
   - პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევა;
   - პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის პროგრამის განსაზღვრა;

- პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს და თავმჯდომარის ანგარიშის მოსნენა და დამტკიცება;
- კონფერენციის დელეგატების არჩევა.

2. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის რიგითი (რიგგარეშე) კრების მოწვევის, ჩატარების თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ დადგენილებას იღებს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის პროფკომიტეტი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა.
3. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტი.
4. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრების დადგენილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
5. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრების ჩატარების ადგილი და კრო უნდა შეირჩეს ისე, რომ მასზე დასწრება შესძლოს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ყველა წევრმა.

XIX. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიურო

1. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიურო:
   - წარმართავს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას კრებებს შორის;
   - იცავს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის წევრთ პროფესიულ, შრომით, სოციალურ- ეკონომიკურ და სამართლებრივ უფლებებს;
   - ახორციელებს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის წევრთა აღრიცხვას;
   - განსაზღვრავს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციებს;
   - იწვევს მიმდინარე და რიგგარეშე კრებებს.
2. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს საქმიანობის ორგანიზება ხორციელდება სხდომების სახით. სხდომები მოიწვევა წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ ერთხელ ორ თვეში.
3. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს სხდომებს უძღვება პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.
4. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 (ხუთი)-ს.
5. ბიუროს რიგითი (რიგგარეშე) სხდომის მოწვევის გადაწყვეტილებას იღებს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე ან პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს წევრთა 30 (ოცდაათი) %-ი.
6. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს რიგითი (რიგგარეშე) სხდომის მოწვევის, ჩატარების თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოს ბიუროს ყველა წევრს სხდომამდე ერთი კვირით ადრე.
7. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს რიგითი (რიგგარეშე) სხდომის ჩატარების დაგილი და დრო უნდა შეირჩეს ისე, რომ მასზე დასწრება შესძლოს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს ყველა წევრმა.
8. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი.

9. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს სხდომის დადგენილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

XX. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე

1. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის უმაღლესი თანამდებობაა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე
2. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე:
   - ერთპიროვნულად წარმოადგენს პირველადი პროფკავშირულ ორგანიზაციას სტუ-ს პროფკავშირთან ურთიერთობაში;
   - იწვევს და თავმჯდომარეობს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის ბიუროს სხდომებს;
   - არის პროფკომიტეტის დელეგირებული წევრი;
   - წარუდგენს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის პროფკომიტეტს დასამტკიცებლად;
   - ასრულებს წინამდებარე წესდებით, კონფერენციის და პროფკომიტეტის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს;
   - თავმჯდომარეობის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

3. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრებამ ან ბიურომ თავმჯდომარეს შეიძლება მიანიჭონ დამატებითი უფლებები.
4. ერთიდაიგივე პირი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ზედიზედ შეიძლება არჩეული იქნეს, მხოლოდ ორჯერ.

XXI. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის პროფორგანიზატორი

1. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის პროფორგანიზატორი:
   - ერთპიროვნულად წარმოადგენს პირველადი პროფკავშირულ ორგანიზაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
   - იწვევს და თავმჯდომარეობს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრებებს;
   - წარუდგენს პროფორგანიზატორის მოადგილეს კანდიდატურას პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრებას დასამტკიცებლად;
   - ასრულებს წინამდებარე წესდებით, კონფერენციის და პროფკომიტეტის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს;
   - პროფორგანიზატორის არყოფნის შემთხვევაშო ,მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

2. პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის კრებამ პროფორგანიზატორს შეიძლება მიანიჭონ დამატებითი უფლებები.
3. ერთი და იგივე პირი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის პროფორგანიზატორად ზედიზედ შეიძლება არჩეული იქნეს, მხოლოდ ორჯერ.

XXII. სტუ-ს სარევიზიო კომისია

1. სტუ-ს სარევიზიო კომისია:
   - ახორციელებს კონტროლს კონფერენციის, პროფკომიტეტის და პროფკომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებების შესრულების, სტუ-ს პროფკავშირების საკუთრების (ქონების) გამოყენების ფულადი სახსრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობათა ხარჯვის, საჩივრების და განცხადებების განხილვის, საწევრო შენატანების გადახდის მდგომარეობაზე;
   - სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს სხვა არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობაში;
   - სარევოზიო კომისიის თავმჯდომარე არის ამ კომისიის წევრი და მორიგი კონფერენციის დელეგატი;
   - სარევიზიო კომისია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია მხოლოდ კონფერენციის წინაშე და მოქმედებს კონფერენციის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

XXIII. პროფკომიტეტის აპარატი

1. სტუ-ს პროფკავშირების მიმდინარე საქმეების წარმართვისათვის პროფკომიტეტის გადაწყვეტილებით იქმნება პროფკომიტეტის აპარატი (შემდგომში აპარატი)
2. აპარატი შესდგება ყველა იმ თანამშრომლისაგან, რომელიც საჭიროა სტუ-ს პროფკავშირების ნორმალური ფურქციონირებისათვის.
3. აპარატს ხელმძღვანელობს სტუ-ს პროფკავშირების თავმჯდომარე.
4. აპარატის სტრუქტურას, საშტატო ერთეულების ნუსხა, ადმინისტრაციის ფუნქციონირების წესებს და შრომის ანაზღაურების საკითხებს სტუ-ს პროფკავშირების თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პროფკომიტეტი.

XXIV. სტუ-ს პროფკავშირების თანამდებობის პირების, პროფკომიტეტის და პროფკომიტეტის წევრების გადაყენება და საკუთარი განცხადებით გადადგომა

1. სტუ-ს პროფკავშირების თანამდებობის პირებს, პროფკომიტეტის და პროფკომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს უფლება აქვთ გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართონ პროფკომიტეტის პრეზიდიუმს.
2. სტუ-ს პროფკავშირის თანამდებობის პირი ვალდებულია გააგრძელოს მოვალეობის შესრულება მისი განცხადების დამტკიცებამდე.
3. სტუ-ს პროფკავშირის ნებისმიერი თანამდებობის პირი შესაძლებელია გადაყვანილი იქნეს პროფკომიტეტის ორიმესამედის გადაწყვეტილებით.
4. სტუ-ს პროფკავშირების თანამდებობის პირის გადადგომის, გადაყენების ან უფლებამოსილების სხვაგვარად (გარდაცვალება, ავადმყოფობა, რომელიც შეუძლებელს გახდის თანამდებობის პირის მიერ მოვალეობის შესრულებას) ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პროფკომიტეტის /თავმჯდომარე უმოკლეს ვადაში ირჩევს /ნიშნავს ახალ თანამდებობის პირს.

XXV. საწევრო შენატანები და შემოწირულობანი

1. სტუ-ს პროფკავშირის წევრის ყოველთვიური საწევრო შენატანი განისაზღვრება თვიური ხელფასის, აგრეთვე დამატებითი გამომუშავების 1%-ის ოდენობით. გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით სტუ-ს ბუღალტერიის მეშვეობით. გამონაკლის შემთხვევაში გადახდა შეიძლება განხორციელდეს ნაღდი ანგარიშსწორებით.

2. სტუ-ს პროფკავშირს შეუძლია მიიღოს შემოწირულობანი სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან.

XXVI. წესდებაში ცვლილებების შეტანა

1. სტუ-ს პროფკავშირის წესდებაში ცვლილების შეტანის უფლება აქვთ სტუ-ს პროფკავშირის წევრების 2/5-ს ან პროფკომიტეტს.

2.პროფკომიტეტმა უნდა განსაზღვროს ინიციატორთა ჯგუფის მიერ შემოტანილი ცვლილების განხორციელების ტექნიკური შესაძლებლობა, ანუ შეესაბამება თუ არა ის წინამდებარე წესდების სხვა მუხლებს.

3. ცვლილების მიღების ტექნიკურად შეუძლებლობის შემთხვევაში პროფკომიტეტი უბრუნებს მას დასაბუთებით ინიციატორთა ჯგუფს.

4. ტექნიკურად შესაძლებელი ცვლილება შეტანილი უნდა იქნეს განსახილველად უახლოეს კონფერენციაზე.

5. სტუ-ს პროფკავშირის წესდებაში ცვლილების შესატანად საჭიროა კონფერენციაზე დამსწრე წევრთა ორი მესამედის თანხმობა.

6. ცვლილება კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღებიდან მაქსიმალურად შესაძლო მოკლე პერიოდში.

7. ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ.

XXVII სტუ-ს პროფკავშირის ქონება და ფინანსები

1. კავშირის ქონება შედგება შენატანების, წევრთა და სხვა პირთა შემოწირულობების, საკუთარი შემოსავლების და კავშირის საკუთრებაში არსებული მატერიალური ფასეულობებისაგან.

2. სტუ-ს პროფკავშირის ქონება შეიძლება მიღებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი გზით.

3. სტუ-ს პროფკავშირის ბალანსზე რიცხული ან მისთვის გადაცემული ქონება წარმოადგენს სტუ-ს პროფკავშირის საკუთრებას.

4. სტუ-ს პროფკავშირის ქონება, ეკონომიკურ საქმიანობით მიღებული შემოსავალი შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ სტუ-ს პროფკავშირის მიზნების მისაღწევად და არ ნაწილდება სტუ-ს პროფკავშირის წევრებს შორის.

5. სტუ-ს პროფკავშირი თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს თავისი ქონების მხოლოდ იმ ნაწილით, რომელზედაც საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება მიმართული იქნეს სარჩელი.

XXVIII. ზიანის ანაზღაურება

1.სტუ-ს პროფკავშირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგათ მესამე პირებს, სტუ-ს პროფკავშირის თანამდებობის პირებს, პროფკომიტეტის და პროფკომიტეტის პრეზიდიუმის წევრების ან სხვა წარმომადგენლების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების შედეგად, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

2. სტუ- პროფკავშირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები მოვალეობის კეთილსინდისიერად შეუსრულებლობისათვის, სტუ-ს პროფკავშირის წინაშე პასუხს აგებენ წარმოშობილი ზიანისათვის. უარის თქმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ბათილია, თუკი იგი აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

3. სტუ-ს პროფკავშირის წევრი პასუხს არ აგებს სტუ-ს პროფკავშირის ვალდებულებებისათვის, სტუ-ს პროფკავშირი პასუხს არ აგებს წევრის ვალდებულებებისათვის.

XXIX. სტუ-ს პროფკავშირის სიმბოლიკა

1. სტუ-ს პროფკავშირს აქვს საკუთარი სიმბოები;
2. სტუ-ს პროფკავშირის სიმბოლოებს ამტკიცებს კონფერენცია.
3. სტუ-ს პროფკავშირის სომბოლოების გამოყენების წესს ამტკიცებს პროფკომიტეტი.

XXX. საქმის წარმოება

1. სტუ-ს პროფკავშირში საქმის წარმოება შესაძლებელია ნებისმიერი მისაღები ფორმით, მთავარია უზრუნველყოფილი იყოს ეფექტიურობა, ინფორმაციის მიღების დროულობა და საიმედობა.

2. სტუ-ს პროფკავშირის სამუშაო ენაა ქართული. ამასთან სტუ-ს პროფკავშირის თანამდებობის პირებს კავშირის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა პირებთან ან კავშირის წევრებათნ ურთიერთობაში, რომელთაც სხვა სამუშაო ენა აქვთ, შეუძლიათ შესაძლებლობის შემთხვევაში გამოიყენონ ნებისმიერი სხვა ენა.

XXXI. სტუ-ს პროფკავშირის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია

1. სტუ-ს პროფკავშირის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს ლიკვიდაციის, ან რეორგანიზაციის (შეერთების, მიერთების, გაყოფის, გამოყოფის, გარდაქმნის) გზით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სტუ-ს პროფკავშირის ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს საქმიანობის მიზნის მიღწევის შესახებ კონფერენციის მიერ დამსწრე დელეგატთა ოთხი მეხუთედის უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში.

3. სტუ-ს პროფკავშირის ორგანიზაცია შეიძლება მოხდეს კონფერენციის მიერ დამსწრე დელეგატთა ოთხი მეხუთედის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

4. სტუ-ს პროფკავშირის ლიკვიდაციას ან რეორგანიზაციას ახორციელებს კონფერენციის მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია.

5. სტუ-ს პროფკავშირის რეორგანიზაციის შემდეგ სტუ-ს პროფკავშირის ქონება გადადის ახლად შექმნილი იურიდიულ პირის (პირების) საკუთრებაში.

6. სტუ-ს პროფკავშირის ლიკვიდაციისას მიმდინარე საქმეების დამთავრების, მოთხოვნების დადგენის, დარჩენილი ქონების ფულში გამოხატვის და კრედიტორთა დაკმაყოფილების შემდეგ, დარჩენილი ქონების და სახსრების გამოყენება ხდება კონფერენციის მიერ დადგენილი წესით.

7. გადაწყვეტილება სტუ-ს პროფკავშირის ლიკვიდაციის შესახებ, მისი იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეესტრიდან ამოსარიცხავად, ეგზავნება სტუ-ს პროფკავშირის მარეგისტრირებელ ორგანოს.

8. ლიკვიდაცია დამთავრებულად ითვლება და სტუ-ს პროფკავშირი გაუქმებულად მას შემდეგ რაც სასამართლო სარეგისტრაციო რეესტრში შეტანილი იქნება დადგენილი წესით ჩანაწერი.

9. ლიკვიდაციის შემდეგ კავშირის დოკუმენტაცია შესანახად გადაეცემა სახელმწიფო არქივს.

დამფუძნებელი წევრების ხელმოწერები:

1. თვალავაძე ივანე
2. ვეფხვაძე ცავრინა
3. პაპავა გიორგი
4. ჯიქია ნიაზი
5. გორდელაძე ვლადიმერი

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის №-1-478

ორი ათას შვიდი წლის ცხრა თებერვალს მე, ნოტარიუსს თამილა გოგატიშვილს, ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისში, კოსტავას 67-ში, პირველ სართულზე: მომმართეს მოქ. ნიაზი ჯიქიამ, ივანე თვალავაძემ, ცარვინა ვეფხვაძემ, გიორგი პაპავამ და ვლადიმერ გორდელაძემ, მათ მოითხოვეს რეგისტრირებული კავშირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული კავშირის წესდებაზე თავიანთი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მათი პირადობა და ქმედუნარიანობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის მიხედვით;

1. ნიაზი ჯიქია დაბადებული 25.04.1962 წელს, მცხ. ქ. თბილისში, დ/მასივი, 3 კვ, კორპ 1ბ, ბინა 9-ში, პ/მ პირადი № 01006004236; №ა 0099107; გაც. დიდუბის რ-ნის შს I ქვეგ. მიერ 13.01.1996 წელს;
2. ცარვინა ვეფხვაძე დაბადებული 19.03.1950 წელს, მცხ. აკ. წერეთლის 55 ბინა 86-ში, პ/მ პირადი № 01007005042 №ბ 0103839; გაც. დიდუბის რ-ნის II ქვეგ. მიერ 11.07.1996 წელს;
3. ივანე თვალავაძე დაბადებული 06.01.1941 წელს, მცხ. ქავთარაძის 25, კორპ 4, ბინა 60-ში, პ/მ პირადი № 01009006652; №ბ 0288370; გაც. ვაკე-საბურთალოს შს II განყ. მიერ 08.01.2001 წელს;
4. გიორგი პაპავა დაბადებული 24.01.1948 წელს, მცხ. წინამძღვრისვილის 180-ში, პ/მ პირადი № 55001000149; №ბ 0251418 გაც. დიდუბის რ-ნის შს სამმ. მიერ 19.04.2006 წელს;
5. ვლადიმერ გორდელაძე დაბადებული 29.04.1950 წელს, მცხ. ფოცხვერაშვილის 20-ში, პ/მ პირადი №01030006870; №დ 0121698; გაც. ჩილურეთის შსგ მიერ 15.05.1996 წელს;

მხარეებმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მათ მიერ წარმოდგენილ წესდებას.

გადახდილია სანოტარო საზღაური 18+დღგ3,24=21,24 ლარი;

ქ. თბილისის ნოტარიუსი /თამილა გოგატიშვილი/